თბილისელები ამარცხებენ ესპანეთის ჩემპიონს

ესპანეთის ქალაქ ელვეში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ძალზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებთან ერთად აქ გამოდიოდნენ მადრიდის "ატლეტიკაო", ლისაბონის "ბენფიკა" და ინგლისური კლუბი – "დერბი ქაუნთი".

თბილისელთა მეტოქე პირველ მატჩში იყო ესპანეთის ჩემპიონი –"ატლეტიკო" 90 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა – 0:0. დაინიშნა პენალტების სერია, რომელმაც გამარჯვება მოუტანა დინამოელებს – 4:2.

ტურნირის ფინალში თბილისის "დინამოს" მოწინააღმდეგეა საქვეყნოდ განთქმული პორტუგალიური კლუბი "ბენფიკა", რომელშიც ეუსებიო თამაშობს.

ლელო 21 აგვისტო 1973 წ.